ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

UNDP

საქართველოს 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების მედიაში გაშუქების კვლევა

სატელევიზიო ტოქშოუების მონიტორინგის ანგარიში

1 თებერვალი - 31 მარტი, 2021

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია

წინამდებარე ანგარიში მომზადებული და გამოცემულია საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მიერ ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ხელშეწყობით. ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია და მისი შინაარსის აღქმა ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პოზიციად დაუშვებელია.

სარჩევი

პროექტის შესახებ 4

მეთოდოლოგია 4

ძირითადი შედეგები 5

საზოგადოებრივი მაუწყებელი 6

თავისუფალი ხედვა 6

კვირის ინტერვიუ 7

დღის თემა 8

აქტუალური თემა 8

რუსთავი 2 9

ღამის კურიერი 9

დღის კურიერი 10

იმედი 11

იმედის ფაქტორი 11

POSTV 14

პოლიტიკური ინტერვიუ 14

დიდი გადაცემა 15

ტვ პირველი 16

რეაქცია 16

საჯარო პოლიტიკა 17

პოლიტიკური პარასკევი 18

მთავარი არხი 19

მთავარი აქცენტები 19

ღამის მთავარი 20

მთავარი დებატები 20

დღის სტუმარი 21

ფორმულა 22

პოლიტმეტრი 22

გიორგი თარგამაძის ფორმულა 23

პოლიტიკის ფორმულა სოფო ზურაბიანთან ერთად 23

პალიტრა TV 24

360 გრადუსი 24

აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებელი 25

თავისუფალი სივრცე 26

სათქმელი 27

კავკასია 28

ბარიერი 28

პოლიტიკა არჩილ გამზარდიასთან ერთად 29

ობიექტივი 29

ღამის სტუდია 29

მაესტრო 31

პროექტის შესახებ

„საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია“ გაეროს განვითარების პროგრამის პროექტის - „საქართველოს 2020 წლის არჩევნების მედიაში გაშუქების კვლევა“ ფარგლებში, ევროკავშირის ფინანსური დახმარებით, 2021 წლის 1 თებერვლიდან 2021 წლის 31 მარტის ჩათვლით პერიოდში, დააკვირდა საუკეთესო საეთერო დროს (პრაიმ ტაიმში) გასულ სატელევიზიო ტოქშოუებში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების გაშუქებას. მონიტორინგის ფარგლებში, დაკვირვება მიმდინარეობდა 12 ტელევიზიაზე: საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი, რუსთავი 2, იმედი, TV პირველი, მთავარი არხი, ფორმულა, პალიტრა TV, საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია, POSTV, კავკასია, ობიექტივი, მაესტრო.

მეთოდოლოგია

მონიტორინგის მიზანი იყო იმის განსაზღვრა, თუ რამდენად თანაბარ პირობებში და ჟურნალისტური სტანდარტების დაცვით ხდებოდა პოსტსაარჩევნო პერიოდში პოლიტიკური პარტიების გაშუქება.

ტოქშოუების მედიამონიტორინგი მოიცავდა მხოლოდ თვისებრივ კომპონენტს. თითოეული გადაცემა ფასდებოდა შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: იყო თუ არა გადაცემის თემა რელევანტურად შერჩეული, რამდენად შეესაბამებოდა მოწვეულ სტუმართა კვალიფიკაცია სადისკუსიო თემას, სტუმრების შერჩევისას ხომ არ ჩანდა მიკერძოება, როგორ მიმდინარეობდა მსჯელობა, რამდენად კარგად მართავდა დისკუსიას წამყვანი, როგორი იყო მისი კითხვები, იყო თუ არა მომზადებული, აძლევდა თუ არა იგი სტუმრებს ცრუ ინფორმაციის გავრცელების საშუალებას, ხომ არ იყო გამოყენებული გადაცემა სიძულვილის ენის გასავრცელებლად და, საერთო ჯამში, იღებდა თუ არა მაყურებელი რაიმე დამატებით ინფორმაციას მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების შესახებ.

საანგარიშო პერიოდში, მონიტორები აკვირდებოდნენ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე პარტიებსა და პოლიტიკოსებს. კერძოდ, მონიტორინგის სუბიექტები იყვნენ ის პარტიები, რომლებმაც 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების შედეგად პარლამენტის მანდატები მოიპოვეს და, ასევე, ის პოლიტიკური გაერთიანებები, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულნი პოსტსაარჩევნო პერიოდში განვითარებულ პროცესებში.

არჩევნების შემდგომ პერიოდში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებიდან გამომდინარე, მონიტორინგის დროს განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა შემდეგ თემებს: პარლამენტის ბოიკოტი, საარჩევნო სისტემის რეფორმა, საარჩევნო ადმინისტრაციის რეფორმა, პოლიტიკური პარტიების დაფინანსება, პარლამენტის ხელახალი არჩევნები, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები, მიტინგები/აქციები, ნიკა მელიას საქმე, მთავრობის ცვლილება, პოლიტიკური დიალოგი/მოლაპარაკებები.

ძირითადი შედეგები:

- წინასაარჩევნო პერიოდის მსგავსად, პოსტსაარჩევნო პერიოდშიც გამოიკვეთა, რომ სამაუწყებლო მედია მკვეთრად პოლარიზებულია, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ მაუწყებელთა ერთი ნაწილი ხელისუფლების სასარგებლოდ იყო მიკერძოებული, მეორე კი - ოპოზიციის.
- მმართველი პარტიის წარმომადგენლები უარს აცხადებდნენ ზოგიერთ არხზე სტუმრობისგან.
- მონიტორინგის პერიოდში, საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის, აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის, „რუსთავი 2-ისა“ და პალიტრა TV-ს ტოქშოუები წარმოადგენდა იმ გამონაკლისს, რომელსაც ოპოზიციისა და ხელისუფლების წარმომადგენლები ხშირად სტუმრობდნენ.
- ტოქშოუების წამყვანების კომენტარებიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები უარს აცხადებდნენ ტელეკომპანია „ფორმულაში“, „TV პირველში“ და „კავკასიაში“ ვიზიტზე, მაშინ, როდესაც “იმედსა” და “POSTV-ს” ხშირად სტუმრობდნენ. მმართველი პარტიის წევრები არ იყვნენ წარმოდგენილნი არც „მთავარ არხზე“.
- „იმედისა“ და „POSTV-ის“ ნარატივები ემთხვეოდა „ქართული ოცნების“ გზავნილებს. „ტვ პირველსა“ და „მთავარ არხზე“ კი იკვეთებოდა მიკერძოება ოპოზიციის მიმართ.
- ტელეკომპანია „ობიექტივი“ კვლავ რჩება „პატრიოტთა ალიანსის“ პლატფორმად. თითქმის ყველა გადაცემაში პარტიის წევრები საუბრობდნენ და ეწეოდნენ აგიტაციას „პატრიოტთა ალიანსის“ სასარგებლოდ. ტოქშოუს წამყვანები ღიად გამოხატავდნენ პარტიისადმი მხარდაჭერას. არხზე ხდებოდა ანტიდასავლური პროპაგანდისა და სიძულვილის ენის ტირაჟირება.
- იმ გადაცემებში, რომელსაც „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები სტუმრობდნენ, მმართველი გუნდის წევრები, ძირითადად, ბოლო სტუმრად იყვნენ წარმოდგენილნი, რაც მათ შესაძლებლობას აძლევდა, გაეკრიტიკებინათ მათი ოპონენტები.

- ერთეული ტელეარხების გარდა, წამყვანები თუ მათი სტუმრები ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ ტერმინებს შეურაცხმყოფელ კონტექსტში იყენებდნენ, რითაც ხელს უწყობდნენ ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სტიგმების გაძლიერებას.
- საანგარიშო პერიოდში, „მაესტროს“ ეთერში არ გასულა საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემა.

საზოგადოებრივი მაუწყებელი

საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ არხზე მონიტორები აკვირდებოდნენ 4 გადაცემას: „თავისუფალი ხედვა“ სამშაბათს 22:30 საათზე, „კვირის ინტერვიუ“ ოთხშაბათს 22:30 საათზე, „დღის თემა“ პარასკევს 22:30 საათზე და „აქტუალური თემა“ ხუთშაბათს 22:30 საათზე.

თავისუფალი ხედვა

„თავისუფალი ხედვა“ წინასაარჩევნო პერიოდისგან განსხვავებული ფორმატით გადიოდა ეთერში. თუ წინასაარჩევნო პერიოდში გადაცემის წამყვანი რესპონდენტთან პირისპირ მართავდა დისკუსიებს, განახლებული ფორმატის ფარგლებში, გადაცემაში თავს იყრიდნენ როგორც ოპოზიციის, ისე ხელისუფლების წარმომადგენლები, რომლებიც მიმდინარე აქტუალურ თემებზე ედებატებოდნენ ერთმანეთს.

გადაცემა ეხმაურებოდა კვირის მნიშვნელოვან პოლიტიკურ მოვლენებს. სტუმრებთან ერთად, წამყვანი ცდილობდა, გაეანალიზებინა მიმდინარე აქტუალური თემები. გადაცემაში მიწვეული სტუმრები რელევანტურად იყვნენ შერჩეულნი.

ფორმატიდან გამომდინარე, სტუმართა სიმრავლე ართულებდა დისკუსიის მართვას და პერიოდულად დებატები ქაოტურ ფორმას იღებდა, რა დროსაც დისკუსიის თემა და მხარეთა მოსაზრებები ძნელად აღსაქმელი ხდებოდა მაყურებლისათვის. გადაცემის წამყვანი კი, ხშირად უფრო მოდერატორის ფუნქციას ითავსებდა, ვიდრე დისკუსიასა წარმმართველის. იგი იშვიათად ერეოდა სტუმრებს შორის დებატებში და მათ ერთმანეთთან ვრცელ პოლემიკას აცდიდა.

ზოგჯერ წამყვანი ვერ ახერხებდა კრიტიკული, დამაზუსტებელი კითხვების დასმას რესპონდენტებისთვის და საკითხზე მაყურებლისთვის ამომწურავი ინფორმაცია მიწოდებას. მაგალითად, 2 თებერვლის გადაცემაში, „ევროპული საქართველოს“ წარმომადგენელმა

არაერთხელ წამოჭრა მარნეულის საარჩევნო ოლქში არსებული ვიდეოჩანაწერის საკითხი, რომელიც სავარაუდო დარღვევას ასახავს და აღნიშნა, რომ ამ უბანზე ხმები ჩათვლილია. ამის შემდგომ, წამყვანმა „ქართული ოცნების“ წარმომადგენელს ჰკითხა, თუ რატომ ჩაითვალა აღნიშნული მონაცემები, რაზეც რესპოდენტი ზოგადი პასუხით შემოიფარგლა. წამყვანს შეეძლო, დამაზუსტებელი კითხვებით მიემართა სტუმრისათვის არჩევნების პერიოდში შესაძლო დარღვევებზე რეაგირებასთან დაკავშირებით და უფრო კრიტიკული ყოფილიყო. აღსანიშნავია, რომ ხელისუფლების მხრიდან ეფექტური რეაგირების საკითხზე, მათ შორის, სასამართლოს მიუკერძოებლობის კუთხით, არაერთი კრიტიკული მოსაზრება ჰქონდათ ადგილობრივ და საერთაშორისო დამკვირვებლებს. ასევე, წამყვანს შეეძლო მოეშველიებინა სტატისტიკა - სასამარლოს მიერ დაკმაყოფილებული და უარყოფილი სარჩელების შესახებ. აღნიშნული მაყურებელს საკითხის შესახებ სრულ სურათს შეუქმნიდა.

საანგარიშო პერიოდში, გადაცემაში რამდენჯერმე გაჟღერდა ბრალდებითი, არაეთიკური რეპლიკები რესპონდენტების მხრიდან. მაგალითად, 2 თებერვლის გადაცემაში, „ქართული ოცნების“ წარმომადგენელმა „ნაციონალური მოძრაობას“ „მწვალებელთა და მკვლელთა პარტია“ უწოდა (39:25; 1:11:35), რასაც წამყვანის მხრიდან კორექტულობისკენ მოწოდება არ მოჰყოლია.

საზოგადოებრივი მაუწყებელი არის ის პლატფორმა, სადაც ხელისუფლება და ოპოზიცია ერთ სივრცეში ედებატებიან ერთმანეთს, ამიტომ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მაუწყებელმა ეს უნიკალური შესაძლებლობა მაქსიმალურად გამოიყენოს და მაყურებელს ამომწურავი, არგუმენტირებული და ინფორმაციული ეთერი შესთავაზოს.

კვირის ინტერვიუ

საანგარიშო პერიოდში, „კვირის ინტერვიუ“ საზოგადოებრივი მაუწყებლის „პირველი არხის“ ეთერში ყოველ ოთხშაბათს გადიოდა. იგი ამ არხზე სამონიტორინგო გადაცემებს შორის ყველაზე დინამიური, ფოკუსირებული და ამომწურავი იყო, რასაც ხელს უწყობდა გადაცემის ფორმატიც.

ტოქშოუ კვირაში მხოლოდ ერთხელ გადიოდა ეთერში და სტუდიაში მიწვეული იყო მხოლოდ ერთი რესპონდენტი, რომელიც რელევანტურად იყო შერჩეული გადაცემის თემისთვის.

„კვირის ინტერვიუს“ წამყვანი ყოველთვის მომზადებული იყო ეთერისთვის. რესპონდენტთან დისკუსიისას, იშველიებდა ციტატებს, რელევანტურ ფაქტებს, დოკუმენტებს.

დისკუსიის მსვლელობისას, წამყვანი ხშირად გვევლინებოდა ოპონენტის როლში, რა დროსაც იგი კონსტრუქციულად წარმართავდა დიალოგს, სვამდა კრიტიკულ კითხვებს,

რაც მაყურებელს საშუალებას აძლევდა, მიეღო ამომწურავი ინფორმაცია განსახილველ საკითხებზე.

დღის თემა

„დღის თემა“ კვირაში ერთხელ გადიოდა ეთერში და წამყვანი პირისპირ ინტერვიუს მართავდა რესპონდენტთან, რომელიც, თემიდან გამომდინარე, რელევანტურად იყო შერჩეული.

ჟურნალისტი, ძირითადად, მომზადებული იყო გადაცემისთვის. თუმცა, ზოგჯერ რესპონდენტებს არ უსვამდა კრიტიკულ, დამაზუსტებელ კითხვებს, რომელიც მაყურებელს ამომწურავ ინფორმაციას მიაწვდიდა.

მაგალითად, 12 თებერვლის გადაცემაში, „ქართული ოცნების“ წევრმა სოზარ სუბარმა 2019 წლის 20 ივნისის მოვლენები შეადარა 6 იანვარს აშშ-ში კაპიტოლიუმში განვითარებულ მოვლენებს და თქვა: „მადლობა მინდა ვუთხრა ყველა იმ პოლიციელს, რომლებმაც აღკვეთეს მსგავსი სცენარის განვითარება საქართველოში. ბუნებრივია, ჩვენ ძალიან გვტკივა თითოეული ადამიანის, რომელმაც იქ ზარალი განიცადა, რომელიც იქ დაზიანდა. თუმცა, ისიც ყველამ უნდა იცოდეს, რომ როდესაც მიმდინარეობს შტურმი პარლამენტზე, უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოზე, იქ არაფერი არ ესაქმება კანონმორჩილ, კეთილსინდისიერ ადამიანს და ისინი უნდა გამიჯნოდნენ იმ შტურმს, რომელსაც აკეთებდნენ და წინ უძღოდნენ ის პოლიტიკოსები, რომელთაც საკუთარი თავის გარდა არ აწუხებთ არაფერი ამქვეყნად“(05:45). წამყვანს არანაირი კომენტარი არ გაუკეთებია სოზარ სუბარის მიერ გაჟღერებულ ამ განცხადებაზე, არც ის უკითხავს, რამდენად პროპორციული იყო სამართალდამცავების მხრიდან მომიტიგნეების მიმართ ძალის გამოყენება და ხომ არ ჰქონდა ადგილი, რიგ შემთხვევებში მაინც, უფლებამოსილების გადამეტებას. მაშინ, როდესაც მმართველი პარტიის წარმომადგენელი ამტკიცებდა, რომ „ძალიან წუხს დაზარალებულებზე“, წამყვანს არაფერი უთქვამს იმის შესახებ, რომ მათი საქმეები დღემდე გამოუძიებელია.

საერთო ჯამში, იმის გათვალისწინებით, რომ ტოქშოუში განსხვავებული პოლიტიკური შეხედულების სუბიექტები იყვნენ წარმოდგენილნი, გადაცემა უზრუნველყოფდა მოსაზრებათა მრავალფეროვნებას.

აქტუალური თემა

საანგარიშო პერიოდში, „აქტუალური თემა“ კვირაში ერთხელ გადიოდა ეთერში და ქვეყანაში მიმდინარე მნიშვნელოვან საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თემებს ეხმიანებოდა.

თუმცა, აღსანიშნავია, რომ გადაცემათა უმრავლესობაში არ იყვნენ წარმოდგენილნი ჩვენი სამონიტორინგო სუბიექტები. შესაბამისად, აღნიშნული გადაცემის ტენდენციების გამოკვეთა შეუძლებელი იყო.

რუსთავი 2

„რუსთავი 2-ზე“ ყოველ სამუშაო დღეს მონიტორინგდებოდა „დღის კურიერი“, რომელიც 19:00 საათზე გადიოდა და „ღამის კურიერი“, რომელიც კვირაში ორჯერ - სამშაბათს და პარასკევს 22:00 საათზე გადიოდა ეთერში.

ღამის კურიერი

სამონიტორინგო პერიოდში, გადაცემა „ღამის კურიერი“ ქვეყანაში მიმდინარე აქტუალურ, მნიშვნელოვან პოლიტიკურ საკითხებს ეხებოდა. გადაცემას უძღვებოდა სამი წამყვანი, რომლებიც საჭიროებისამებრ ენაცვლებოდნენ ერთმანეთს. გამონაკლისი შემთხვევების გარდა, გადაცემა იყო თანაბრად კრიტიკული როგორც ხელისუფლების, ისე ოპოზიციის მიმართ.

მიუხედავად იმისა, რომ ტოქშოუს ფორმატი მხარეთა შორის დისკუსიას გულისხმობს, გადაცემაში ხელისუფლებისა და ოპოზიციის წარმომადგენლები ერთმანეთის პირისპირ არ სხდებოდნენ. შესაბამისად, გადაცემა მაყურებელს მხარეთა შორის დებატებს ვერ სთავაზობდა. თუმცა, ხშირად, ოპონენტის ფუნქციის შეთავსებას ჟურნალისტები ცდილობენ. აღსანიშნავია ისიც, რომ გადაცემაში ხშირად „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები გადაცემის ბოლო სტუმრებად გვევლინებოდნენ.

ტოქშოუს წამყვანები თითქმის ყოველთვის მომზადებულნი იყვნენ თემებზე სადისკუსიოდ და რესპონდენტებს კრიტიკულ შეკითხვებს უსვამდნენ. ხშირად იყენებდნენ ე.წ. ჩაკითხვის ტექნიკასაც. მაგალითად, 16 მარტს გადაცემაში სტუმრად ბრიუსელიდან პირდაპირ ეთერში ჩაერთო საგარეო საქმეთა მინისტრი დავით ზალკალიანი. ჟურნალისტები შეეცადნენ, რომ სტუმართან ერთად გაეანალიზებინათ პრემიერ მინისტრის ვიზიტი ბრიუსელში. ერთ-ერთმა წამყვანმა დავით ზალკალიანს ჰკითხა, თუ რითი, რა შედეგით ბრუნდება საქართველო ბრიუსელიდან. მინისტრი კი შეეცადა, რომ პოლიტიკურ კრიზისზე დისკუსიიდან თემა საქართველოს ევროატლანტიკურ სწრაფვაზე გადაეტანა. მიუხედავად ამისა, წამყვანი შეეცადა, დასმულ კითხვაზე მიეღო მინისტრისგან ინფორმაცია და მას რამდენჯერმე მიმართა დამაზუსტებელი კითხვებით: „რა არის საქართველოს „საშინაო დავალება“? „რა

უნდა გაკეთდეს კრიზისის დასაძლევად, რომ 2024-ში ევროპის კარზე მივაკაკუნოთ?“ „რა პაკეტით ჩამოდის საქართველო კრიზის მოსაგვარებლად?“.

ამგვარი საქმიანი სტილის კიდევ ერთი მაგალითია 9 მარტის გადაცემა, რომლის სტუმარი „ქართული ოცნების“ წევრი ირაკლი ჩიქოვანი იყო. კითხვის დასმის წინ, გადაცემის წამყვანმა თამარ ურუშაძემ რესპონდენტს ერთ-ერთი ევროპარლამენტარის კომენტარი წაუკითხა, სადაც იგი ნიკა მელიას დაკავებას არ ეთანხმებოდა და კრიზისის მოგვარებაში მთავრობას განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას აკისრებდა. ციტატის დასრულების შემდგომ, ჟურნალისტმა სტუმარს ჰკითხა, თუ რა გზავნილის შემცველი იყო აღნიშნული ციტატა „ქართული ოცნებისთვის“. მიუხედავად იმისა, რომ სტუმარი შეეცადა, თავი აერიდებინა პასუხისთვის, წამყვანი მას ორჯერ ჩაეკითხა დამაზუსტებელი კითხვებით. მას შემდეგ, რაც მცდელობა უშედეგო გამოდგა, დისკუსიაში გადაცემის კიდევ ერთი წამყვანი, ირაკლი იმნაიშვილი ჩაერთო, რომელმაც „ქართული ოცნების“ წევრს მიმართა: „ირაკლი საღამო მშვიდობისა, თქვენ არ გსურთ შეკითხვაზე პირდაპირი და ზუსტი პასუხის გაცემა? კიდევ ერთხელ გავიმეორებ ციტატას, თამარი გეკითხებათ, სწორედ ევროპარლამენტარის ციტატის შემდეგ რას აპირებს „ქართული ოცნება“. ციტატას სწრაფად გავიმეორებ: „მე არ ვეთანხმები ოპოზიციის ლიდერის, ნიკა მელიას დაპატიმრებას, რაც კიდევ უფრო ზრდის პოლიტიკურ დაძაბულობას, ხელისუფლების წარმომადგენლებს განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრებათ ამ დაძაბულობის განმუხტვაზე“. რას აკეთებს „ქართული ოცნება“, ან გააკეთებს მედიაციის დროს, რომ განიმუხტოს დაძაბულობა? მელიას საკითხის ჭრილით დავიწყოთ“(07:00), - მხოლოდ ამის შემდეგ გასცა პასუხი ირაკლი ჩიქოვანმა ჟურნალისტების კითხვას.

მსგავსი მაგალითები ადასტურებს, რომ გადაცემის წამყვანები მაქსიმალურად ცდილობდნენ, არ მიეცათ რესპონდენტებისთვის კითხვებზე თავის არიდების და სპეკულირების საშუალება და მიეღოთ ამომწურავი პასუხები.

საერთო ჯამში, გადაცემა იყო საინტერესო, ინტერაქციული, ჟურნალისტები არ აძლევდნენ რესპონდენტებს ცრუ და დაუსაბუთებელი ინფორმაციის გავრცელების შესაძლებლობას და მაქსიმალურად ცდილობდნენ აუდიტორიისთვის ამომწურავი ინფომაციის მიწოდებას.

დღის კურიერი

„დღის კურიერი“ ქვეყანაში მიმდინარე მნიშვნელოვან მოვლენებს ეხებოდა. გადაცემას ჰყავდა რამდენიმე წამყვანი, რომლებიც რიგითობით ენაცვლებოდნენ ერთმანეთს.

გადაცემას სტუმრობდნენ როგორც ხელისუფლების, ისე ოპოზიციის წარმომადგენლები. წამყვანები იყვნენ მომზადებულნი კრიტიკული კითხვების დასასმელად და სადისკუსიოდ.

ინარჩუნებდნენ ნეიტრალურ ტონს და თანაბრად კრიტიკული იყვნენ როგორც ოპოზიციის, ისე ხელისუფლების მიმართ.

„რუსთავი 2“ განეკუთვნება ერთ-ერთ გამონაკლის ტელევიზიას, რომელსაც ოპოზიციაც და ხელისუფლებაც სტუმრობდა, თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ მხარეების წარმომადგენლები ერთმანეთს არ ედებატებოდნენ, გადაცემა მაყურებელს მხარეთა შორის დისკუსიას და დიალოგს ვერ სთავაზობდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ გადაცემაში ტენდენციურად, „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები ბოლო სტუმრად იყვნენ წარმოდგენილნი და შესაძლებლობა ეძლეოდათ, შეაფასებინათ და გაეკრიტიკებინათ ყველა წინა გამომსვლელი.

საერთო ჯამში, გადაცემა იყო საინტერესო და კრიტიკული, იშვიათი გამონაკლისების გარდა.

იმედი

„იმედის“ ეთერში მონიტორინგდებოდა გადაცემა „იმედის ფაქტორი“, რომელიც ყოველ სამშაბათს 22:00 საათზე გადიოდა ეთერში. საანგარიშო პერიოდში, ერთი გადაცემა 24 მარტს, ოთხშაბათს გავიდა ეთერში.

იმედის ფაქტორი

„იმედის ფაქტორს“, სამონიტორინგო პერიოდში, მუდმივად სტუმრობდნენ მმართველი გუნდის წარმომადგენლები და ხელისუფლებასთან აფილირებული პირები. გადაცემაში, ძირითადად, არ იყვნენ წარმოდგენილი ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლები და, შესაბამისად, გამონაკლისი შემთხვევების გარდა, მაყურებელს არ ჰქონია შესაძლებლობა, მოესმინა აზრთა მრავალფეროვნება, განსხვავებული პოზიციები და მხარეთა შორის დისკუსია.

გადაცემის წამყვანები ღიად აფიქსირებენ საკუთარ მხარდაჭერას მმართველი პარტიის მიმართ და მუდმივად აკრიტიკებენ ოპოზიციას. მაგალითად, 23 მარტის გადაცემაში ოპოზიცია წარმოჩენილი იყო „დამანგრეველი ძალად, რომელიც არის რადიკალური და ხელს უწყობს დესტაბილიზაციას, მოლაპარაკებების ჩაშლას“. წამყვანი ამბობდა: „დიალოგი გაგრძელდება, თუმცა, ნაკლებად სავარაუდოა, შეიცვალოს რადიკალური ოპოზიციის დესტრუქციული გეგმები და ის ულტიმატუმი, რომელმაც მოლაპარაკების პირველი ეტაპი ჩაშალა. ახლა მთავარი საკითხია შეძლებს თუ არა ოპოზიციის დემოკრატიული ნაწილი

მოლაპარაკების კონსტრუქციულ რელსებზე გადაწყობას და მმართველ გუნდთან საკუთარ დღის წესრიგზე მოლაპარაკებას. რაც ნიშნავს, რომ მან სააკაშვილის რუსულ თამაშზე უნდა თქვას უარი“ (00:26).

წამყვანები ოპოზიციას მოიხსენიებდნენ ისეთი ტერმინებითა და ეპითეტებით, როგორიცაა: „ახალი ბოლშევიკები“, „დესტრუქციული ძალა“; „ნაციონალურ მოძრაობას“ კი უწოდებდნენ „ტოტალიტარულ სექტას“ (45:51), „ნაძირლებს“ (0:45) და სხვა.

ტოქშოუში „ნაციონალური მოძრაობა“ წარმოჩენილი იყო ძალად, რომელიც უპირისპირდება კანონსა და მართლმსაჯულებას. მაგალითად, 16 თებერვლის გადაცემის შესავალ ტექსტში ერთ-ერთი წამყვანი ამბობდა: „კანონი უფრო მეტია, ვიდრე ნიკა მელია. ამის მიუხედავად, რადიკალური ოპოზიცია მართლმსაჯულებას უპირისპირდება და სამოქალაქო დაუმორჩილებლობით იმუქრება, რადგან, პარლამენტზე არშემდგარი შტურმის შემდეგ, ცდილობს, იერიში სახელმწიფო ინსტიტუტებზე მიიტანოს. ეს არის მათი ბრძოლა ქვეყნის სამი საყრდენის - მამულის, ენის და, განსაკუთრებით, სარწმუნოების წინააღმდეგ“(00:07).

მეორე წამყვანი კი განაგრძობდა: „დღეს საბოლოოდ ჩამოყალიბდა „ნაციონალური მოძრაობის“ და მათი მარიონეტული პარტიებად წოდებული ჯგუფების ძირითადი იდეოლოგენიდი. ეს არის ენის ეკოლოგიის დაბინძურება, ეს არის დესამშობლოიზაცია, ანუ პატრიოტიზმის გამოყენება საკუთარი ნაძირლობის დასაფარად და ქართული ეკლესიის განადგურება მებრძოლი თეოლოგ-ერეტიკოსების მეშვეობით“ (00:30). აღნიშნულ მონოლოგს წამყვანები კითხულობდნენ დანგრეული ეკლესიების ფონზე მდგომი ბოლშევიკების და ისეთი კადრების ფონზე, სადაც ოპოზიციური პარტიების ლიდერები უარყოფითად იყვნენ წარმოჩენილები.

9 თებერვლის გადაცემაში, რომელიც შემდეგნაირად იყო დასათაურებული - „ოპოზიციის ბრძოლა მამულის, ენის და სარწმუნოების წინააღმდეგ“, მიხეილ სააკაშვილის დამამცირებელი ფოტოების ფონზე, წამყვანი ამბობდა: „ნაციონალურ მოძრაობაში“ იდეოლოგიური პროგრესია, მან საკუთარ თავს დიაგნოზი დაუსვა, აღიარა საკუთარი კრახი და ამოხსნა თავისი ქრონიკული წარუმატებლობის მიზეზი, ეს ყველაფერი ერთ დიაგნოზში გაერთიანდა. სააკაშვილის გუნდს სჭირს დესამშობლოიზაცია, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ არ უყვართ სამშობლო. საჭიროა იდეოლოგიური რებრენდინგი, ანუ ნაცებს ახლა უნდა შეუყვარდეთ სამშობლო, უნდა გახდნენ ქართველები და ხშირად და ხმამაღლა უნდა ილაპარაკონ ეროვნულ იდენტობაზე. ეს არის გვარამიას რეცეპტი, მაგრამ იმუშავებს ნაცების სუროგატული პატრიოტიზმი, რომელთანაც პრინციპულად შეუთავსებელია ქართული კულტურა, ტრადიცია, სარწმუნოება, ყველაფერი ქართული. გამოცხვება ნაცების ხაჭაპური ყველის გარეშე?“ (51:23).

აღნიშნულ ხაზს აგრძელებდა და „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ პრორუსულ ძალად წარმოაჩენდა 23 თებერვალს ეთერში გასული გადაცემაც. ნიკა მელიას დაკავების დღეს,

„იმედის ფაქტორი“ ცდილობდა, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და ზოგადად ოპოზიცია წარმოეჩინა რუსეთთან დაკავშირებულ ძალად, რომლებიც „ხშირად მიმართავენ გავრილოვს დახმარებისთვის“ (12:01).

ტოქშოუში ე.წ ქუჩის გამოკითხვა ანუ Vox Pop ხშირად გამოყენებული იყო ხელისუფლების პოზიციების გასამყარებლად. მაგალითად, 2 თებერვლის გადაცემაში, კითხვაზე, „არის თუ არა სწორი ოპოზიციის ნაწილის გადაწყვეტილება, არ შევიდეს პარლამენტში?“ - გამოკითხული 11 მოქალაქიდან 10 უარყოფითად პასუხობდა და მხოლოდ ერთის პოზიცია იყო ნეიტრალური (20:52). 16 თებერვლის გადაცემაში კი, კითხვაზე - „ნიკა მელიას მიერ კანონის უპატივცემულობას უნდა მოჰყვეს თუ არა კანონით გათვალისწინებული სასჯელი?“ - 20 გამოკითხული მოქალაქიდან აღნიშნულ პოზიციას იზიარებდა 17, მხოლოდ 2 არ ეთანხმებოდა, 1 კი ნეიტრალურად იყო განწყობილი (6:41).

მიხეილ სააკაშვილსა და ოპოზიციურ სპექტრზე საუბრისას, გადაცემის წამყვანები და რესპონდენტები, შეურაცხმყოფელ კონტექსტში ხშირად იყენებდნენ ისეთ ტერმინებს, რომელებიც ხელს უწყობდა ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ადამიანების სტიგმატიზებას. მაგალითად, 23 თებერვლის გადაცემაში, ერთ-ერთი სტუმარი მიხეილ სააკაშვილს ახასიათებდა, როგორც „აღვირახსნილს, ფსიქოპატს“ (1:46:49). 16 თებერვალს კი გადაცემის წამყვანი ამბობდა: „ჩემი ნება რომ იყოს, როდესაც „ნაციონალურ მოძრაობაზე“ არის დისკუსია სტუდიაში, მე ვისურვებდი რაც შეიძლება მეტ ფსიქოლოგს, ფსიქოთერაპევტს და, ალბათ, უკვე კლინიკური სურათი ასეთია, ფსიქიატრებს“ (25:29).

გადაცემის წამყვანები და სტუმრები ოპოზიციას მოიხსენიებდნენ როგორც „ანტიდემოკრატიულს“, „რადიკალურს“, „დესტრუქციულს“, უწოდებდნენ „შიდა ტერორისტებსაც“. მსგავსი ტერმინების გამოყენება ხდებოდა POSTV-ზეც.

ოპოზიციის კრიტიკის ფონზე, გადაცემაში მმართველი გუნდი წარმოჩენილი იყო კონსტრუქციულ ძალად, რომელიც ყველა შესაძლო ბერკეტს იყენებს ოპოზიციის პარლამენტში შესაყვანად. მაგალითად, 2 თებერვალს გასულ გადაცემაში წამყვანმა თქვა: „დღეს პარლამენტი, არც ფორმალურად და არც ფაქტობრივად, არ შეიძლება ჩაითვალოს ერთპარტიულ პარლამენტად. იმისდა მიუხედავად, რომ ეს ბერკეტები ეკუთვნის ოპოზიციას, ოპოზიცია, კვლავ ამბობს უარს პარლამენტში შემოსვლაზე. თქვენ ჯიუტად აგრძელებთ, კვლავ აძლევთ შანსს და კვლავ აძლევთ შესაძლებლობას, შემოიყვანოთ პარლამენტში“ – (5:38) შემდეგ კი დასვა კითხვა, „თუ რაში სჭირდება ხელისუფლებას ის ოპოზიცია პარლამენტში, რომელიც უარს არ ამბობს რევოლუციის გადატრიალების მოწყობაზე“ (6:44).

მთლიანობაში, ტოქშოუ იყო დაუბალანსებელი და მიკერძოებული მმართველი გუნდის მიმართ. გადაცემაში წამყვანების მხრიდან არ ჩანდა მცდელობა, რომ მაყურებლისთვის შეეთავაზებინათ მრავალმხრივი მოსაზრებები.

POSTV

POSTV-ზე მონიტორინგდებოდა ორი ტოქშოუ: „დიდი გადაცემა“ ყოველ პარასკევს 20:00 საათზე და „პოლიტიკური ინტერვიუ“, რომელიც ორშაბათიდან ხუთშაბათის ჩათვლით 20:30 -ზე გადიოდა ეთერში. აღსანიშნავია, რომ „პოლიტიკური ინტერვიუს“ წამყვანი 2021 წლის 22 მარტს შეიცვალა და შალვა რამიშვილის ნაცვლად, გადაცემა ნინო მიქაძეს მიჰყავდა.

პოლიტიკური ინტერვიუ

გადაცემა მიმდინარე მნიშვნელოვან მოვლენებს ეხმაურებოდა, რომელსაც წამყვანი სტუმართან ერთად განიხილავდა.

მონიტორინგის პერიოდში, გადაცემის წამყვანმა შალვა რამიშვილმა „POSTV“ არაერთხელ მოიხსენია, როგორც „ხელისუფლების მხარდამჭერი მედია“ (30:30), „მედია, რომელიც მხარს უჭერს „ქართულ ოცნებას“ (08:14). იგი „ხელისუფლების მხარდამჭერს“ (28:27) უწოდებდა თავის თავსაც და გადაცემაში ღიად აფიქსირებდა საკუთარ სუბიექტურ მოსაზრებებს. მაგალითად, ამბობდა, რომ „ვადამდელი არჩევნები არ არის სწორი, რადგან არჩევნები არ გაყალბებულა“(34:00) , რომ ძალიან უნდა, „გაუქმდეს ნაციონალური მოძრაობა“ (12:09) და ა.შ.

გადაცემაში, ძირითადად, მხოლოდ „ქართული ოცნების“ და მათი მხარდაჭერების პოზიციები ჟღერდებოდა. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელი იყო მიწვეული სტუმრად, წამყვანის მხრიდან ისმოდა ქება მმართველი გუნდის მისამართით და კრიტიკა ოპოზიციური პარტიების მიმართ. გადაცემაში წამყვანი და რესპონდენტები ოპოზიციური პარტიებს ხშირად მოიხსენიებდნენ შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგიით და აჟღერებდნენ დაუსაბუთებელ, მძიმე ბრალდებებს მათი მისამართით.

მაგალითად, 16 თებერვლის გადაცემაში მიწვეული სტუმარი ნიკა მელიას და ოპოზიციას ახასიათებდა როგორც „ძალას, რომელიც მზადაა, ძალაუფლების ჩაგდების მიზნით, ომიც კი გააჩაღოს“. „ქართული ოცნების“ ერთ-ერთმა წევრმა თქვა: „ამ ხალხს უნდა, ომი რომ მოხდეს ქვეყანაში, თუ ეს მათ მოუტანს გამარჯვებას და ხელისუფლების ხელში აღებას, ამაზე ისინი სრულებით, აბსოლუტურად მზად არიან“ (13:22). წამყვანი დაეთანხმა სტუმარს და ერთ-ერთი რუსი ბოლშევიკის სიტყვები მოიშველია ციტატად: „რუსეთის გასათბობად ისინი მზად არიან ქვეყანას ცეცხლი წაუკიდონ“ და თქვა, რომ „ოპოზიცია, ბოლშევიკებივით, დემონური იდეითაა შეპყრობილი“(13:58).

საანგარიშო პერიოდში, „პოლიტიკურ ინტერვიუსა“ და „იმედის“ გადაცემა „იმედის ფაქტორს“ შორის მსგავსება გამოიკვეთა. ორივე ტოქშოუ ხელისუფლების გზავნილებს ავრცელებდა

და ცდილობდა, ოპოზიცია წარმოეჩინა „პრორუსულ და დესტრუქციულ ძალად, რომელიც ქვეყანაში დესტაბილიზაციის შექმნას ცდილობს“. ხელისუფლების გზავნილებს ემთხვეოდა აღნიშნული ორი გადაცემის მთავარი აქცენტებიც.

5 თებერვლის „პოლიტიკურ ინტერვიუში“ გასული ერთ-ერთი სიუჟეტი მაყურებელს არწმუნებდა, რომ „მიხეილ სააკაშვილი პრორუსული პროპაგანდის გამტარია და „ნაციონალური მოძრაობა“ რუსულ საქმეს ემსახურება“. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები კი „რუსეთის ნაკრების წევრებად“ იყვნენ მოხსენიებულნი (29:01); იგივე აქცენტები იყო 18 თებერვალს გასულ გადაცემაშიც, სადაც „ქართული ოცნების“ დეპუტატი ამტკიცებდა, რომ ქვეყანაში არეულობა მხოლოდ ორ ძალას სურს - რუსეთსა და „ნაციონალურ მოძრაობას“. სტუმრის შეხედულებებს წამყვანიც იზიარებდა (3:58).

აღნიშნულ გადაცემებში მსგავსი იყო წამყვანებისა და რესპონდენტების ტერმინოლოგია, შეფასებები და გზავნილები. ორივე ტოქშოუში ოპოზიციურ პარტიებს იხსენიებდნენ „რადიკალურ ოპოზიციად“ და უწოდებდნენ „შიდა ტერორისტებს“. მიხეილ სააკაშვილს კი შეურაცხმყოფელი, მადისკრიმინირებელი ტერმინებით მოიხსენიებდნენ. მაგალითად, 10 თებერვლის გადაცემაში „პოლიტიკური ინტერვიუს“ წამყვანი ამბობდა: „მე ძალიან მომწონს, როცა შლეგებს და გიჟებს ვუწოდებ ნაცებს და მათთან გათანაბრებულ პირებს“ (38:13) იგივე ეთერში, წამყვანი მიხეილ სააკაშვილს უწოდებდა „დესტრუქციულ, მესაბოტაჟე, ვიღაცა ბოროტ ჩიტს“ (27:26), და ამბობდა: „მე მაქვს ჩემი მისია, ყველას დავუმტკიცო, რომ ესენი არიან გიჟები, არარაციონალური, შლეგი ადამიანები და შლეგს რაც არ უნდა მისცე, არ წამოვა არაფერზე“ (32:44).

საერთო ჯამში, გადაცემა არის მიკერძოებული. წამყვანს ცალსახად დეკლარირებული აქვს საკუთარი პოზიცია და არღვევს ისეთ მედია სტანდარტებს, როგორიცაა ბალანსის დაცვა, ფაქტისა და მოსაზრების ერთმანეთისგან გამიჯვნა, უცენზურო და არაეთიკური ტერმინების გამოყენება.

დიდი გადაცემა

ტოქშოუ ყოველ პარასკევს კვირის მნიშვნელოვან მოვლენებს ეხმაურებოდა. „პოლიტიკური ინტერვიუს“ მსგავსად, „დიდ გადაცემაშიც“ ტენდენციური ხასიათი ჰქონდა „ქართული ოცნების“ გზავნილების ტირაჟირებას.

საანგარიშო პერიოდში, ტოქშოუს სტუმრები, ძირითადად, მმართველი პარტიის წარმომადგენლები იყვნენ. გადაცემის წამყვანი შალვა რამიშვილი, „პოლიტიკური ინტერვიუს“ მსგავსად, „დიდ გადაცემაშიც“ აფიქსირებდა თავის სუბიექტურ შეხედულებებს და ღიად უჭერდა მხარს „ქართულ ოცნებას“.

ხელისუფლების გზავნილების ტირაჟირების პარალელურად, გადაცემის წამყვანი აღნიშნულ გადაცემაშიც არ ერიდებოდა ოპოზიციის დამცინავი და შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგიით მოხსენიებას. წამყვანი ოპოზიციურ პარტიებს მხოლოდ იმ შემთხვევაში იწონებდა, თუ მათი ნათქვამი მმართველი პარტიის გზავნილებს ემთხვეოდა. მაგალითად, 19 მარტის გადაცემაში წამყვანი აღნიშნავს, რომ ,,ერთ-ერთი ყველაზე ადეკვატური პოზიცია იმ შმოპოებში აქვს მეგრელიშვილს და გირჩის“ (21:18).

საერთო ჯამში, ტოქშოუ იყო მიკერძოებული და ტოვებდა შთაბეჭდილებას, რომ გადაცემის მთავარი გზავნილები „ქართული ოცნების“ პოზიციების გამყარებას და ოპოზიციის დისკრედიტაციას ემსახურებოდა.

TV პირველი

„TV პირველზე“ მონიტორინგდებოდა 3 ტოქშოუ: „რეაქცია“ სამშაბათს და ხუთშაბათს 20:45 საათზე და შაბათს 18:00 საათზე, „საჯარო პოლიტიკა“ ორშაბათს და ოთხშაბათს 21:00 საათზე და „პოლიტიკური პარასკევი“ პარასკევს 21:00 საათზე.

რეაქცია

სამონიტორინგო პერიოდში, გადაცემისთვის შერჩეული თემები აქტუალური იყო, სტუმრები კი, ძირითადად - რელევანტური. „რეაქციას“ ოპოზიციის წევრები სტუმრობდნენ, „ქართული ოცნების“ წარმომადგენელები კი გადაცემაში მონაწილეობაზე უარს აცხადებნენ.

ჟურნალისტი მიკერძოებული იყო ოპოზიციური პარტიების სასარგებლოდ და მკვეთრად კრიტიკული იყო ხელისუფლების მიმართ. გადაცემაში წამყვანი ღიად აფიქსირებდა თავის სუბიექტურ შეხედულებებს.

მაგალითად, 16 თებერვალს გადაცემაში, რომლის თემა იყო ნიკა მელიასთვის იმუნიტეტის მეორედ მოხსნა, გადაცემა დაიწყო საბჭოთა კავშირის დროინდელი ჰიმნით „დიდება პარტიას“. ამ ჰიმნის ფონზე ერთმანეთს ენაცვლებოდა საქართველოს საპარლამენტო სხდომის კადრები, დეპუტატების კომენტარები ნიკა მელიასთვის იმუნიტეტის მოხსნაზე და კადრები საბჭოთა წარსულიდან. აღნიშნულ გადაცემაში წარმოდგენილი იყო მხოლოდ ოპოზიციური გაერთიანების მოსაზრებები, რომლებსაც წამყვანიც იზიარებდა.

23 მარტის გადაცემაში წამყვანი ამბობდა: „როგორ გადარია ოცნებამ ევროპა, ოღონდ არა დაპირებული დემოკრატიით, არამედ მოლაპრაკებების მაგიდის აყირავებით.. ნამდვილად

გავაოცეთ ევროპა, ოღონდ არა დემოკრატიით, არამედ მოსმენებით, თვალთვალით, ოპოზიციაზე ანგარიშსწორებით“.

წამყვანი არ ერიდებოდა მმართველი პარტიის წარმომადგენლების არაეთიკურად მოხსენიებას. მაგალითად, 16 თებერვლის გადაცემაში ინგა გრიგოლიამ დეპუტატებს „ცხვრე-ბი“, 20 თებერვლის გადაცემაში კი „ქართული ოცნების“ წევრებს „მლიქვნელები“ უწოდა.

საერთო ჯამში, ტოქშოუს წამყვანი იყო მიკერძოებული ოპოზიციის სასარგებლოდ და მაყურებელს არ ჰქონდა შესაძლებლობა, მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებზე მიეღო დაბალანსებული, მრავალმხრივი ინფორმაცია.

საჯარო პოლიტიკა

მონიტორინგის პერიოდში, ტოქშოუს თემები იყო აქტუალური და საინტერესო. გადაცემის სტუმრები თემის შესაბამისად იყვნენ მიწვეულნი. წამყვანი განმარტავდა, რომ ხელისუფლება უარს აცხადებდა გადაცემაში მონაწილეობაზე.

წამყვანი ამჟღავნებდა კრიტიკულ დამოკიდებულებას ხელისუფლების მიმართ, მაგრამ ლოიალური იყო ოპოზიციასთან. წამყვანის მიერ გადაცემაში დაფიქსირებული მოსაზრებები თანხვედრაში მოდიოდა ოპოზიციის ხედვასთან, არჩევნებთან და სხვა პოლიტიკურ საკითხებთან დაკავშირებით.

მაგალითად, 15 თებერვალს თავის შესავალ სიტყვაში ამბობდა: „დაიჭერენ თუ არა მელიას? გაბედავენ თუ ვერ? გადაუხდის თუ არა ხარკს გავრილოვს ნიკა მელიას დაჭერით „ქართული ოცნება“ და რას მიიღებს სანაცვლოდ?“

უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად მისი ლოიალური დამოკიდებულებისა, წამყვანი არ ერიდებოდა ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებთან კრიტიკული კითხვების დასმას.

წამყვანი, ძირითადად, მომზადებული იყო გადაცემისთვის. თუმცა, საანგარიშო პერიოდში, გადაცემაში დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც წამყვანმა რესპოდენტს დაუსაბუთებელი ინფორმაციის გავრცელების შესაძლებლობა მისცა. მაგალითად, 17 მარტის გადაცემაში მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ „ნამახვანჰესი იმიტომ შენდება, რომ ივანიშვილმა „ჰაიდლებერგ ცემენტი“ იყიდა და აქვს ბიზნეს ინტერესები“. ჟურნალისტს არ უკითხავს რესპონდენტისთვის, რაზე დაყრდნობით აკეთებდა მსგავს განცხადებას. ამავე გადაცემაში, მიხეილ სააკაშვილმა თქვა, რომ „თითოეულ ქართველ ოჯახს აქვს 30,000 აშშ დოლარის ოდნეობის ვალი“, თუმცა წამყვანს არც ამ განცხადებაზე დაუსვამს დამაზუსტებელი კითხვები და არ დაინტერესებულა, კონკრეტულად რა მონაცემებზე საუბრობდა მიხეილ სააკაშვილი.

საერთო ჯამში, გადაცემა მიმოიხილავდა პოლიტიკურ მოვლენებს და მაყურებელს აძლევდა შესაძლებლობას, მიეღო ინფორმაცია მიმდინარე აქტუალურ საკითხებზე.

პოლიტიკური პარასკევი

მონიტორინგის პერიოდში, გადაცემის თემები იყო აქტუალური. სტუმრები თემის შესაბამისად იყვნენ მიწვეულნი და რესპონდენტების შერჩევისას არ იკვეთებოდა მიკერძოება. „TV პირველის“ სხვა ტოქშოუების მსგავსად, „პოლიტიკურ პარასკევში“ მისვლაზე უარს აცხადებდნენ მმართველი პარტიის წარმომადგენლები.

წამყვანები, ძირითადად, მომზადებულნი იყვნენ გადაცემისთვის, ცდილობდნენ სიღმისეულად გაეანალიზებინათ საკითხები და ამომწურავი ინფორმაცია მიეღოთ სტუმრებისგან. მაგალითად, 12 მარტის გადაცემაში, რომლის თემაც იყო მოლაპარაკებები ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის, წამყვანი ნაციონალური მოძრაობის ლიდერთან - სალომე სამადაშვილთან ერთად განიხილავდა, თუ როგორ უნდა მივიდნენ მხარეები კონსესუსამდე, რა არის ამისთვის საჭირო. აღნიშნული დისკუსია მაყურებელს საშუალებას აძლევდა, მიეღოთ ამომწურავი ინფორმაცია იმის შესახებ, ზოგადად როგორ მიმდინარეობს მსგავსი ტიპის მოლაპარაკებები, რა საკითხებს ითვალისწინებენ მხარეები და ა.შ.

გადაცემის წამყვანები იყვნენ კრიტიკული ხელისუფლების მიმართ და ლოიალურად განწყობილნი ოპოზიციისადმი. აღსანიშნავია, რომ წამყვანები პირდაპირ უცხადებენ მხარდაჭერას „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე ნიკა მელიას. მაგალითად, 19 თებერვლის გადაცემაში, ერთ-ერთმა წამყვანმა ეკა მიშველაძემ შემდეგი სიტყვებით მიმართა ნიკა მელიას: „ძალიან მძიმე დღეები გაქვს, ჩვენც შენთან ერთად, ძალიან გგულშემატკივრობთ, ძალიან განვიცდით, რა თქმა უნდა, ყველაფერ იმას, რაც ხდება. რამდენიმე დღეა რაც იმყოფები ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ოფისში. თავს როგორ გრძნობ? რამდენ ხანს აპირებ რომ იყო მანდა და როგორ ფიქრობ, შენ დაკავებასთან დაკავშირებით რა მოხდება?“

საერთო ჯამში, გადაცემა მიმოიხილავდა მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს და ინფორმაციული იყო საზოგადოებისთვის.

მთავარი

„მთავარ არხზე“, საანგარიშო პერიოდში, მონიტორინგდებოდა გადაცემები - „მთავარი აქცენტები“ კვირას 22:30 საათზე, „ღამის მთავარი“ სამშაბათს 22:00 საათზე, „დღის სტუმარი“ ორშაბათიდან შაბათის ჩათვლით 19:00 საათზე და „მთავარი დებატები“ შაბათს 18:30 საათზე. მონიტორინგის პერიოდში, ტოქშოუები ზოგჯერ სპეციალური გამოშვებებითაც გადიოდა ეთერში.

მთავარი აქცენტები

სამონიტორინგო პერიოდში, ტოქშოუ „მთავარი აქცენტები” მიმდინარე პოლიტიკურ თემებს ეხმიანებოდა. გადაცემას მხოლოდ ოპოზიციური პარტიის წევრები სტუმრობდნენ და ეთერში განსხვავებული პოზიციები არ ისმოდა. წამყვანმა რამდენჯერმე გააკეთა განცხადება, რომ მმართველი გუნდის წევრები მათ არ ელაპარაკებიან.

გადაცემა წამყვანის - ნიკა გვარამიას მონოლოგით იწყებოდა. იგი ღიად მიკერძოებული იყო ოპოზიციისადმი, აფიქსირებდა სუბიექტურ მოსაზრებებს და არ ერიდებოდა არანორმატიული, შეურაცხმყოფელი ლექსიკის გამოყენებას ხელისუფლების მიმართ.

მაგალითად, მმართველ გუნდს და მის წარმომადგენლებს ხშირად მოიხსენიებდა ისეთი ტერმინებით, როგორებიცაა: „ხელისბიჭები“, „არარაობა“, „ერთუჯრედიანი“, „ინფუზორია“, „ქალამანა“, „ფოსტალა“, „გიჟი“, „ავადმყოფი“, „ბიძინა ივანიშვილის ყურმოჭრილის მონები, და ა.შ. საყურადღებოა იცის, რომ ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ტერმინების შეურაცხმყოფელ კონტექსტში გამოყენება ხელს უწყობს ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ არსებული სტიგმის გაძლიერებას.

გადაცემის წამყვანი და მისი სტუმრები ხშირად ერთსა და იმავე აზრზე იყვნენ და იგი თითქმის არასდროს სვამდა კრიტიკულ კითხვებს რესპონდენტებთან. მთავრობისა და „ქართული ოცნების“ არაკორექტული კრიტიკის ფონზე, გადაცემის წამყვანი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და მისი ლიდერების ჰეროიზაციას ახდენდა.

მაგალითად, 25 თებერვლის გადაცემაში წამყვანმა თქვა: „ჩვენ უკან არის ნიკა მელიას კადრი, მისი შერაცხვის, ამ ქვეყნის უმნიშვნელოვანეს ფიგურად, არა მხოლოდ პოლიტიკაში, არამედ თავისუფლების საქმეში, ქვეყნის გათავისუფლების საქმეში. აი, ეს კაცი არ არის დაჭერილი, ეს კაცი არის გათავისუფლებული. მერე რა, რომ უამრავი წითელარმიელი უდგას გვერდით და ახლა ტყვეობაში ჰყავს ბიძინა ივანიშვილს“(22:21). 21 მარტის გადაცემაში კი, ნიკა გვარამიამ ოპოზიცია „ქართულ პატრიოტულ პოლიტიკურ ელიტად“ მოიხსენია და აღნიშნა, რომ ამაყობს მათი ქმედებებით (3:47).

აღსანიშნავია, რომ ,,მაუწყებელთა ქცევის კოდექსის" თანახმად, საავტორო გადაცემაში წამყვანს აქვს თავისუფლება, გამოთქვას საკუთარი პოზიციები მიმდინარე მოვლენების შესახებ, მაგრამ, მეორე მხრივ, ის ვალდებულია დაიცვას მიუკერძოებლობის პრინციპი.

ღამის მთავარი

„ღამის მთავარში" დღის ან კვირის მთავარი პოლიტიკური საკითხები განიხილებოდა. სამონიტორინგო პერიოდში, სტუდიაში მხოლოდ ოპოზიციური პარტიების წევრები იყვნენ წარმოდგენილნი. გადაცემაში არ ისმოდა განსხვავებული მოსაზრებები, თუმცა წამყვანი ხშირად აფიქსირებდა საკუთარ მზაობას, რომ ნებისმიერ ფორმატში დაეთმო ეთერი ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის.

გადაცემის წამყვანი, ძირითადად, მომზადებული და ინფორმირებული იყო თემის გარშემო, თუმცა, გადაცემაში არ ისმოდა მრავალმხრივი მოსაზრებები. წამყვანიც და ოპოზიციონერი სტუმრებიც ყველა საკითხზე, ფაქტობრივად, ერთ აზრზე იყვნენ.

წამყვანი კრიტიკული იყო მმართველი გუნდის მიმართ და ხშირად აფიქსირებდა სუბიექტურ შეხედულებებს. მაგალითად, 2 თებერვლის გადაცემაში ეკა კვესიტაძემ თქვა: „ხელისუფლება იდეოლოგიურ დივერსიას მეცხრე წელია გვიწყობს. ადვილი მისახვედრია, რატომ აირჩია ივანიშვილმა ეს გზა, რადგან მის ავტორიტარულ რეჟიმს გადარჩენა და გახანგრძლივება მხოლოდ ზიზღით დამუხტულ ორად გახლეჩილ საზოგადოებაში შეუძლია. მაგალითად, ის, რაც ჩვენ დღეს პარლამენტში თეა წულუკიანის გამოსვლის სახით ვნახეთ, არის სრული ზნეობრივი და ადამიანური კატასტროფა" (22:12).

წამყვანი ხშირად გამოთქვამდა დაუსაბუთებელ მოსაზრებებსაც. მაგალითად, 2 თებერვლის გადაცემაში თქვა: „ივერი მელაშვილზე თავდასხმა „ალტა ოკეიში" სუსის მიერ იყო პროვოცირებული და მას ბიუჯეტის ფულით დაფინანსებული ზონდერი დაესხა თავს" (22:10), - ამ შემთხვევაში, ჟურნალისტი პირად მოსაზრებას ფაქტად წარმოაჩენდა.

„ღამის მთავარში" მმართველ გუნდსა და ხელისუფლებას ხშირად ისეთი შეურაცხმყოფელი ტერმინებით მოიხსენიებდნენ, როგორიცაა: „წვრილფეხება მაღალჩინოსნები", „სახელისუფლებო ზონდერები", „მონები" და ა.შ.

მთავარი დებატები

საანგარიშო პერიოდში, გადაცემა ეხებოდა მიმდინარე აქტუალურ პოლიტიკურ მოვლენებს. წამყვანი, ძირითადად, მომზადებული იყო თემაზე სასაუბროდ, თუმცა, გადაცემაში

მხოლოდ ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ და ჟურნალისტი ნაკლებად შედიოდა სტუმრებთან პოლემიკაში.

გადაცემაში იკვეთებოდა მიკერძოება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ. წამყვანი ხშირად იზიარებდა რესპონდენტების პოზიციებს და ერთად აკრიტიკებდნენ ხელისუფლებას. თუმცა ჟურნალისტს კრიტიკული კითხვები ჰქონდა იმ ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებთან, რომელთა პოზიციებიც არ ებმოდა ერთიან ოპოზიციურ კონტექსტს.

გადაცემის წამყვანი არ ერიდებოდა პირადი მოსაზრებების გაჟღერებას და ხშირად პოზიციონირებდა, როგორც მხარე. მაგალითად, 20 თებერვლის გადაცემაში, წამყვანი იმ დეპუტატებს, რომლებმაც ნიკა მელიას იმუნიტეტი მოუხსნეს, „88 გავრილოვს“ უწოდებდა (18:48), ამავე გამოშვებაში წამყვანი ირაკლი ღარიბაშვილს „პოლიტიკურ სანაგვეზე გადაგდებულად“ მოიხსენიებდა. პარალელურად, ოპოზიციის ლიდერებს ,,პოლიტიკური პროცესის გმირებს უწოდებდა" და მადლობას უხდიდა ნიკა მელიას იმისთვის, რომ „მედგრად უძლებს თავს დატეხილ მძიმე დღეებს და ღამეებს“. პირდაპირ ეთერში წამყვანი მადლობას უხდიდა „ნაციონალური მოძრაობის“ ოფისში შეკრებილ ადამიანებსაც, იმისთვის, რომ „ერთი წამითაც არ ტოვებდნენ ტერიტორიას“ (18:40).

საერთო ჯამში, არხზე დამონიტორინგებული სხვა გადაცემების მსგავსად, „მთავარ დებატებშიც“ არ ისმოდა განსხვავებული მოსაზრებები.

დღის სტუმარი

საანგარიშო პერიოდში, გადაცემა, ძირითადად, მიმდინარე აქტუალურ თემებს ეხებოდა. „მთავარი არხის“ სხვა გადაცემების მსგავსად, „დღის სტუმარშიც“ არ იყო წარმოდგენილი „ქართული ოცნება“. პოლიტიკური პარტიებიდან, ტოქშოუს უმეტესად ოპოზიციის წევრები სტუმრობდნენ.

გადაცემის მსვლელობისას, ხშირად, წამყვანი და რესპონდენტი ერთ აზრზე იყვნენ და ღიად აფიქსირებდნენ თავის ნეგატიურ და ირონიულ განწყობებს ხელისუფლებისადმი. გადაცემის წამყვანი არ ინარჩუნებდა ნეიტრალურ ტონს და ხშირად პოზიციონირებდა როგორც მხარე.

გადაცემაში შეიმჩნეოდა მიკერძოება ოპოზიციის მიმართ. მაგალითად, 4 მარტს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი იყო მიხეილ სააკაშვილის მიერ გაკეთებული განცხადება, რომელიც ამბობდა, რომ „არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დათანხმება პლებისციტის მოდელზე“. ტოქშოუში ეს თემა წამყვანს არ განუხილავს და არც უხსენებია, რაც ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ მედიასაშუალებამ გვერდი აუარა „ნაციონალური მოძრაობის“ შესახებ ისეთი ინფორმაციის გავრცელებას, რომელმაც თავად პარტიაში გააჩინა აზრთა

სხვადასხვაობა, რადგან ამავე დღეს პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა, სალომე სამადაშვილმა თქვა, რომ „არ მიმაჩნია მიზანშეწონილად საუბარი იმაზე, ვადამდელ არჩევნებამდე, როგორი გზით მივალთ და რაიმე გადაწყვეტილების დაბლოკვა“.

საერთო ჯამში, არხზე დამონიტორინგებული სხვა გადაცემების მსგავსად, აღნიშნულ ტოქშოუშიც არ ისმოდა განსხვავებული მოსაზრებები.

ფორმულა

„ფორმულაზე“ მონიტორინგდებოდა გადაცემა „პოლიტმეტრი“ სამშაბათს და პარასკევს 21:00 საათზე, „გიორგი თარგამაძის ფორმულა“ ოთხშაბათს 21:00 საათზე და „პოლიტიკის ფორმულა სოფო ზურაბიანთან“ ორშაბათს და ხუთშაბათს 21:00 საათზე.

პოლიტმეტრი

საანგარიშო პერიოდში, გადაცემის თემები იყო აქტუალური და მნიშვნელოვანი. სტუმრები რელევანტურად იყვნენ შერჩეული სადისკუსიო თემის შესაბამისად. გადაცემაში მონაწილეობას არ იღებდნენ „ქართული ოცნების“ წევრები, ამას წამყვანები ყოველთვის აღნიშნავდნენ და მაყურებელს თავად აცნობდნენ ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ გაკეთებულ განცხადებებს.

წამყვანები ყოველთვის მომზადებულნი იყვნენ სადისკუსიოდ და ავლენდნენ გადაცემის თემების ღრმა ცოდნისა და ანალიზის უნარს. ისინი თანაბრად უთმობდნენ დროს რესპონდენტებს და კრიტიკულად იყვნენ განწყობილნი როგორც ხელისუფლების, ისე ოპოზიციის მიმართ.

მონიტორინგისპერიოდშირამდენჯერმედაფიქსირდაშემთხვევა,როდესაცრესპონდენტებმა ოპონენტის მისამართით არაეთიკური, შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგია გამოიყენეს, წამყვანებმა კი კორექტულობისკენ არ მოუწოდეს. მაგალითად, 23 თებერვლის გადაცემაში წამყვანს შესაბამისი რეაქცია არ ჰქონია რესპონდენტების მსგავს ფრაზებზე: „ღარიბაშვილი გიჟია, ცხადია, გიჟია, მაგრამ საშიში გიჟია“ (53:16); „მან, როგორც კავკასიურმა ნაგაზმა, ერთი პატრონის ცნობა იცის და ის თუ გაუბრაზდება და არ აჭმევს, გაავდება“ (53:28); „არ არსებობს არანაირი ღარიბაშვილი, არსებობენ მონები მისი (ივანიშვილის)“ (55:45); ასევე, 19 თებერვალს: „ღარიბაშვილის ფსიქოტიპს ძაან ნუ ჩავუღრმავდებით, ჩვენ შეგვიძლია მას ვუწოდოთ რეგვენი“ (39:50);

აქვე აღსანიშნავია, რომ მსგავს უარყოფით კონტექსტში ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე ხაზგასმით, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ადამიანების სტიგმატიზება ხდება და მნიშვნელოვანია, რომ მედიამ ამას ხელი არ შეუწყოს.

საერთო ჯამში, ტოქშოუ იყო მიუკერძოებელი, ინფორმატიული და მაყურებელს ჰქონდა შესაძლებლობა მიეღო მრავალმხრივი, ამომწურავი ინფორმაცია ამა თუ იმ საკითხზე.

გიორგი თარგამაძის ფორმულა

მონიტორინგის პერიოდში, გადაცემის თემები აქტუალური და მნიშვნელოვანი იყო. სტუმრების შერჩევისას არ გამოკვეთილა მიკერძოება.

ტოქშოუს წამყვანი ყოველთვის მომზადებული იყო ეთერისთვის. იგი ყოველი გადაცემის შესავალ ნაწილში მაყურებელს უზიარებდა OP-ED-ს, სადაც საინტერესოდ აანალიზებდა პოლიტიკურ პროცესებს.

წამყვანი იყო კრიტიკული ხელისუფლების მიმართ, ოპოზიციის მიმართ კი - ლოიალური. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ არ გამოვლენილა მიკერძოება რომელიმე კონკრეტული ოპოზიციური პარტიის მიმართ. მაგალითად, 31 მარტის გადაცემაში წამყვანმა თქვა: „ოპოზიციამ მორიგ ჯერზე ურთულესი გამოცდა ჩააბარა - ძალიან სერიოზული ზეწოლის პირობებში სიმტკიცე, ერთიანობა, პრინციპულობა და, რაც მთავარია, სახე შეინარჩუნა, რითაც დასავლეთსა და საკუთარ ამომრჩეველს მიანიშნა, რომ მიუხედავად კომპრომისისთვის მზაობისა, ოპოზიცია პრობლემების მოჩვენებით გადაჭრას და კოსმეტიკურ ცვლილებებს არ დათანხმდება“.

საერთო ჯამში, გადაცემა მაყურებელს აძლევდა საშუალებას, მიეღო სრულყოფილი ინფორმაცია ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შესახებ. გადაცემის წამყვანი ცდილობდა, სიღრმისეულად გაეანალიზებინა საკითხები, განეხილა პოლიტიკური ტაქტიკები და გეოპოლიტიკურ ჭრილში მიეწოდებინა მაყურებლისთვის ინფორმაცია მიდინარე პოლიტიკური მოვლენების შესახებს შესახებ.

პოლიტიკის ფორმულა სოფო ზურაბიანთან

მონიტორინგის პერიოდში, ტოქშოუს თემები იყო აქტუალური და საინტერესო.

გადაცემაში, ძირითადად, ოპოზიციის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ, რომლებიც თავისი პოლიტიკური მრწამსით განსხვავდებიან ერთმანეთისგან. „ფორმულას“ სხვა გადაცემების მსგავსად, ხელისუფლების წარმომადგენლები ტოქშოუში მონაწილეობას არ იღებდნენ.

გადაცემის წამყვანი, ძირითადად, იყო მომზადებული, სტუმრებთან კითხვების დასმისას იცავდა მიუკერძოებლობის პრინციპს და თანაბრად ანაწილებდა რესპონდენტებზე დროს.

ტოქშოუს სტუმრები თემის შესაბამისად, რელევანტურად იყვნენ შერჩეულნი. თუმცა, გადაცემის წამყვანის კითხვები, ძირითადად, არ იყო კრიტიკული რომელიმე სტუმრის მიმართ და იყო ორიენტირებული იმაზე, რომ მაყურებელს მიეღო მეტი ინფორმაცია მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შესახებ. საბოლოო ჯამში, შეგვიძლია ვთქვათ, რომ გადაცემა ინფორმატიული იყო მაყურებლისთვის.

პალიტრა TV

„პალიტრა TV-ზე“ მონიტორები აკვირდებოდნენ გადაცემას - ,,360 გრადუსი”, რომელიც, საანგარიშო პერიოდში, ეთერში ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, 20:30 საათზე გადიოდა.

360 გრადუსი

გადაცემა „360 გრადუსი“ რამდენიმე ბლოკისგან შედგებოდა და მაყურებელს დღის მნიშვნელოვან თემებზე აწვდიდა ინფორმაციას. გადაცემაში მონაწილეობას იღებდნენ როგორც ოპოზიციის, ისე ხელისუფლების წარმომადგენლები. თუმცა, საზოგადოებრივი მაუწყებლებისგან განსხვავებით, „პალიტრა TV-ის“ ეთერში ოპოზიცია და მმართველი გუნდი ერთსა და იმავე ბლოკში არ სხდებოდნენ.

წამყვანი ცდილობდა, მეტნაკლებად კრიტიკული კითხვები დაესვა როგორც ოპოზიციისთვის, ისე ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის, თუმცა, ზოგჯერ არ იყო საკმარისად კრიტიკული ამ უკანასკნელის მიმართ. გადაცემაში „ქართული ოცნების“ წევრები ხშირად დასკვნით ნაწილში იყვნენ წარმოდგენილნი, რაც მათ შესაძლებლობას აძლევდა, რომ შეეფასებინათ წინა რესპონდენტების, ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლების მოსაზრებები და გაეკრიტიკებინათ ისინი.

მაგალითად, 17 თებერვალს, გადაცემის ბოლო სტუმარი მმართველი გუნდის წევრი სოზარ სუბარი იყო. მან დიალოგი ოპოზიციის წარმომადგენლების შეფასებით დაიწყო: „ვუსმენდი წინა გამომსვლელებს. ასეთი გადამეტებული ბაქი-ბუქი შიშის ყველაზე კარგი ინდიკატორია და რისი ეშინიათ, მართლა ვერ გავიგე“ (16:20). აღნიშნული მმართველ გუნდს უპირატეს პოზიციაში აყენებდა და საშუალებას არ აძლევდა ოპოზიციას, რომ პასუხი გაეცა მათთვის.

წამყვანი მეტ-ნაკლებად მომზადებული იყო გადაცემისთვის. ხშირად ციტირებდა პოლიტიკოსების განცხადებებს. ცდილობდა, ოპონირება გაეწია სტუმრებისთვის. ეს მცდელობა ზოგჯერ კონფრონტაციულ დიალოგებში გადაიზრდებოდა ხოლმე. მაგალითად, 5 მარტის გადაცემაში (00:35) სტუმარ მიხეილ სარჯველაძესთან დისკუსია მიმდინარეობდა ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის შეთანხმების მიღწევის საკითხზე. წამყვანი ამტკიცებდა და აფიქსირებდა პოზიციას, თუ რატომ ვერ შედგა შეთანხმება და ჩამოთვალა რამდენიმე ვერსია, რაც, შესაძლოა, დახმარებოდა მხარეებს კრიზისის მოგვარებაში.

გადაცემაში არ ისმოდა სიძულვილის ენა, თუმცა, ხშირი იყო არაეთიკური მეტაფორების გამოყენება როგორც წამყვანის, ისე რესპონდენტების მხრიდან. მაგალითად, 10 თებერვლის გადაცემაში წამყვანმა მიხეილ სააკაშვილი შეადარა „მთავარ პოლიტიკურ საფრთხობელას“(00:24). 19 თებერვლის გადაცემაში კი წამყვანმა თქვა: „ხელისუფლებას ამ კრიზისის მოგვარების გაცილებით უფრო მეტი ბერკეტი აქვს და ბრმა, ყრუ და უვიცი უნდა იყო, ეს რომ ვერ დაინახო» (14:11). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მსგავს კონტექსტში მოხსენიება, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების მადისკრიმინირებელია და მედიამ აღნიშნულს ხელი არ უნდა შეუწყოს.

ანალოგიურად, 17 თებერვლის გადაცემაში სოზარ სუბარი ნიკა მელიას მისამართით არაეთიკურ შედარებას იყენებს: „ნაციონალური მოძრაობის ოფისი არ არის პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი, არც ნიკა მელიაა ესმერალდა და ამდენი კვაზიმოდო არ სჭირდება მის დაცვას“ (17:05), 19 თებერვლის გადაცემაში კი ირაკლი ღლონტი „ქართულ ოცნებაზე“ ამბობს, „ბაღლინჯოებით სავსე არის ბიძინა ივანიშვილის კრიმინალური დაჯგუფება“ (12:22). არცერთ შემთხვევაში, წამყვანს სტუმრებისკენ კორექტულობისკენ არ მოუწოდებია.

საერთო ჯამში, გადაცემა მაყურებელს შესაძლებლობას აძლევდა, მიმდინარე პროცესებზე მხარეთა პოზიციები და არგუმენტები მოესმინა.

აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებელი

აჭარის საზოგადოებრივ მაუწყებელზე მონიტორები აკვირდებოდნენ 2 გადაცემას: „თავისუფალი სივრცე“ და „სათქმელი“. „თავისუფალი სივრცე“ ყოველ ორშაბათს და ოთხშაბათს 21:00 საათზე გადიოდა ეთერში, ხოლო „სათქმელი“ ყოველ ხუთშაბათს 21:00 საათზე.

თავისუფალი სივრცე

აჭარის ტელევიზია, იყო ერთ-ერთი იმ მაუწყებლებს შორის, სადაც ოპოზიციისა და ხელისუფლების წარმომადგენლებს ერთ სივრცეში ვხედავდით და ზოგჯერ მათ დებატების შესაძლებლობაც ჰქონდათ.

სამონიტორინგო პერიოდში, გადაცემაში განხილული იყო მიმდინარე აქტუალური საკითხები, თუმცა, წამყვანს არ ეტყობოდა წინასწარი მომზადება. იგი დებატებში მონაწილეებს შეძლებისდაგვარად თანაბრად უნაწილებდა დროს, თუმცა აქტიურად არ ერეოდა დებატებში და მის დინამიკას ვერ წარმართავდა.

წამყვანი არ იყო თანაბრად კრიტიკული ოპოზიციისა და მმართველი გუნდის მიმართ. მაგალითად, 1-ლი მარტის გადაცემაში, რომლის თემა ზოგადად ქვეყანაში არსებული პოლიტიკური ვითარება იყო, მსჯელობა შეეხო სხვადასხვა საკითხს და მათ შორის აქტიურად განიხილებოდა „სტრატეგია აღმაშენებლის“ ერთ-ერთი ლიდერის, თაკო ჩარკვიანის განცხადება - მან ოპოზიციის რამდენიმე წევრს „პოლიტიკური გვამი“ უწოდა. წამყვანმა საკითხის ირგვლივ მსჯელობა წარმართა და დაინტერესდა, ხომ არ იყო განხეთქილება ოპოზიციაში. აღსანიშნავია, რომ გადაცემა ეთერში გავიდა ზუსტად იმ დროს, როდესაც ევროსაბჭოს პრეზიდენტი საქართველოში პოლიტიკური ოპოზიციის და მმართველის პოლიტიკური გუნდის წარმომადგენლებს ხვდებოდა. შესაბამისად, ოპოზიციაში სავარაუდო განხეთქილებაზე აქცენტირება, ტოვებდა შთაბეჭდილებას, რომ წამყვანს ჰქონდა მცდელობა, შარლ მიშელის პოლიტიკურ სუბიექტებთან შეხვედრის ფონზე, აქტუალური გაეხადა განხეთქილების თემა და წარმოეჩინა საკითხი, როგორც პოლიტიკური კონსენსუსისთვის ხელისშემშლელი. აღნიშნულის დასტურად გამოდგება ისიც, რომ დისკუსიის ნაწილში წამყვანმა სცადა, ესაუბრა არა პოლიტიკურ კრიზისსა და მისი დაძლევის რესურსზე, არამედ - არჩევნების გაყალბების საკითხზე და არკვევდა, თუ რამდენად აქვს ოპოზიციას გაყალბების მტკიცებულებები. წამყვანის მსჯელობა ემთხვეოდა მმართველი გუნდის გზავნილს, რომელიც მუდმივად აპელირებდა, რომ ოპოზიციას არჩევნების გაყალბების არანაირი მტკიცებულება არ აქვს.

წამყვანი არ იყო კრიტიკული „ქართული ოცნების“ მიმართ, არ სვამდა დამაზუსტებელ კითხვებს და ზოგჯერ მმართველი პარტიის წარმომადგენლებს დაუსაბუთებელი და არაარგუმენტირებული მოსაზრებების გავრცელების შესაძლებლობასაც აძლევდა.

მაგალითად, 15 მარტის გადაცემაში, „ქართული ოცნების“ წევრი ირაკლი ქადაგიშვილი ამბობდა: „როდესაც 8 მარტის შეთანხმება შედგა, ჩვენ მაშინ ვნახეთ, რომ ხელისუფლებამ ყველა პირობა, რაც იყო გათვალისწინებული, თავის მხრივ პირნათლად შეასრულა, ხოლო ოპოზიცია არ შემოვიდა პარლამენტში. ეს ჯერ კიდევ წინა პარლამენტში, არ მიიღო მონაწილეობა კენჭისყრებში, საპარლამენტო მუშაობაში, რომ იმ ხელშეკრულების ყველა

პირობა შესრულებულიყო. „ქართულმა ოცნებამ“ ცალმხრივად ყველა ეს ვალდებულება შეასრულა“. (36:52) ამავე გადაცემაში მან თქვა: „ჩვენ ვნახეთ ხომ ყველამ, ფაქტობრივად ერთი წელი გავიდა მას შედეგ, ოპოზიციამ არცერთი პირობა არ შეასრულა იმ პირობით, რაც უნდა შეესრულებინა“ (32:20). წამყვანს არ დაუსვამს დამაზუსტებელი კითხვები, თუ კონკრეტულად რა პირობის შეუსრულებლობაზე საუბრობდა „ქართული ოცნების“ წარმომადგენელი, არ ჩაკითხვია, თუ რა ვალდებულებები შეასრულეს ცალმხრივად და არც მმართველი გუნდის შეუსრულებელი დაპირებები შეუხსენებია მისთვის. საგულისხმოა ისიც, რომ თავად ოპოზიცია ედავებოდა ხელისუფლებას 8 მარტის ხელშეკრულების შეუსრულებლობას.

საანგარიშო პერიოდში, გამოიკვეთა ტენდენცია, რომ გადაცემაში ბოლო სტუმრებად ხელისუფლების წარმომადგენლები გვევლინებოდნენ და ამით მათ საუბრის შეჯამების და ე.წ. „ბოლო სიტყვის“ თქმის საშუალება ეძლეოდათ.

იმის გათვალისწინებით, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლები არიან იმ გამონაკლის ტელევიზიებს შორის, სადაც ხელისუფლებაც და ოპოზიციის წარმომადგენლებიც დადიან, მნიშვნელოვანია, გადაცემა იყოს მაქსიმალურად დაბალანსებული, კრიტიკული და ამომწურავი.

სათქმელი

მონიტორინგის პერიოდში, გადაცემა „სათქმელი“ აჭარის საზოგადოებრივ მაუწყებელზე ყოველ ხუთშაბათს 21:00 საათზე გადიოდა. წამყვანი პირდაპირ ეთერში საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან პოლიტიკურ და სოციალურ თემებს განიხილავდა.

გადაცემის წამყვანი, ძირითადად, მომზადებული იყო ეთერისთვის და ცდილობდა, დაეცვა მიუკერძოებლობის პრინციპი. მისი კითხვები ნეიტრალური და მეტ-ნაკლებად კრიტიკული იყო.

აჭარის მაუწყებლის კიდევ ერთი სამონიტორინგო ტოქშოუს - „თავისუფალი სივრცის“ მსგავსად, აღნიშნულ გადაცემაშიც ტენდენციური ხასიათი ჰქონდა „ქართული ოცნების“ წარმომადგენლების ბოლო სტუმრად წარდგენას, რაც მმართველ გუნდს საშუალებას აძლევდა, ეთქვა „ბოლო სიტყვა“ და გაეკრიტიკებინა წინა რესპონდენტები.

მთლიანობაში, გადაცემა მაყურებელს აძლევდა შესაძლებლობას, მიეღო ინფორმაცია მიმდინარე აქტუალურ საკითხებზე.

„კავკასია“

„კავკასიაზე“ მონიტორინგდებოდა ტოქშოუ „ბარიერი“ და „პოლიტიკა არჩილ გამზარდიასთან ერთად“. “ბარიერი“ 21:30 წუთზე სამშაბათს და ოთხშაბათს გადიოდა ეთერში. „პოლიტიკა არჩილ გამზარდიასთან ერთად“ 21:30 წუთზე ორშაბათს გადიოდა. საანგარიშო პერიოდში, ტოქშოუ „ბარიერი“ ზოგჯერ სპეციალური გამოშვებებითაც გადიოდა ეთერში.

ბარიერი

ტოქშოუ „ბარიერი“ ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს ეხმიანებოდა და გადაცემაში განსახილველი მთავარი საკითხები ყოველთვის აქტუალური იყო. სამონიტორინგო პერიოდში, ტოქშოუში მიწვეულნი იყვნენ რელევანტური რესპონდენტები, თუმცა, პოლიტიკური პარტიებიდან, გადაცემას არ სტუმრობდნენ „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები.

გადაცემის წამყვანი მეტ-ნაკლებად მომზადებული იყო სადისკუსიოდ, ხშირად უსვამდა დამაზუსტებელ კითხვებს რესპონდენტებს. თუმცა, დაფიქსირდა რამოდენიმე შემთხვევა, როდესაც ზოგადი კითხვებით შემოიფარგლა. მაგალითად, 3 მარტს გადაცემის წამყვანი ნინო ჯანგირაშვილი რესპონდენტს ეკითხებოდა: „ბიძინა ივანიშვილი, როგორ ფიქრობთ, რას აკეთებს ახლა, რას ფიქრობს? ფაქტია, რომ რაღაცა ღარიბაშვილის დამთბარი რიტორიკის მერე, მეორე დღეს, ის ისევ ძალიან მკაცრი იყო და ბევრი ხედავს ივანიშვილის ხელს. ანუ ივანიშვილი ცდილობს, რომ ოცნებამ რაღაც არ დათმოს? ის ვერ ხედავს, რომ პრობლემები აქვთ, თქვენი აზრით?“ (4:52).

გადაცემის წამყვანი და მისი სტუმრები, რომლებიც, ძირითადად, ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლები იყვნენ, ხშირად იზიარებენ ერთმანეთის პოზიციებს და ტოქშოუში თითქმის არასდროს გვხვდებოდა „Hard Talk“ ფორმატი. წამყვანი ხელისუფლების მიმართ კრიტიკული იყო და აფიქსირებდა სუბიექტურ მოსაზრებებსაც. მაგალითად, 3 მარტის გადაცემაში წამყვანმა პირდაპირ განაცხადა, რომ „ბიძინა ივანიშვილს ეკუთვნის უმრავლესობაც, ძალაუფლებაც, მინისტრებიც, სუსიც, პროკურატურაც და სასამართლოც“ (9:03). 16 მარტის გადაცემაში კი ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის გამართულ მოლაპარაკებებზე წამყვანმა თქვა: „არ უნდა ამ ხალხს („ქართული ოცნება“) არც რიგგარეშე არჩევნები, არც პატიმრების გამოშვება, უბრალოდ, ერიდებათ, რომ ევროპელებს უთხრან და აქ ამერიკელებიც მოიაზრებიან, რომ დაგვანებეთ თავი, თქვენი ჭირიმე, რასაც გვინდა იმას ვიზამთ“ (9:48).

პოლიტიკა არჩილ გამზარდიასთან ერთად

საანგარიშო პერიოდში, ტოქშოუ ქვეყანაში მიმდინარე, აქტუალურ საკითხებს ეხებოდა, გადაცემის წამყვანი კი, ყოველთვის მომზადებული იყო ეთერისთვის. გადაცემაში ხელისუფლების წარმომადგენლები არ მონაწილეობენ.

წამყვანი ღიად აცხადებდა, რომ ოპოზიციის მხარდამჭერია. მაგალითად, 16 მარტის გადაცემაში წამყვანი ამბობს: „ჩემთვის, როგორც მოქალაქისთვის, რატომ ვუჭერ ოპოზიციას მხარს, ვთქვათ, და ვამბობ რომ ვუჭერ ღიად. იმიტომ, რომ აი, ეს ცენტრალური სისტემები შეიცვალოს სახელმწიფოში, რის გამოც მე ვარ ოპოზიციური განწყობის. მაშინ, როცა ვგულშემატკივრობდი ხელისუფლებას, და ჩემთვის უფრო კომფორტის ზონა იქნებოდა, ვყოფილიყავი იმ გუნდის გულშემატკივარი, რომელსაც ვგულშემატკივრობდი 2012 წელს...“(0:15).

გადაცემის წამყვანი ხელისუფლების მიმართ კრიტიკულად იყო განწყობილი და ზოგჯერ აფიქსირებდა სუბიექტურ შეხედულებებსაც. მაგალითად, 23 მარტის გადაცემაში რესპონდენტთან საუბრისას, ამბობდა, რომ „ქართული ოცნება“ ადამიანებს დევნის და ამის მტკიცებულებად საკუთარი გამოცდილება მოჰყავდა(16:00).

საანგარიშო პერიოდში გასული გადაცემები ტოვებდა შთაბეჭდილებას, რომ ტოქშოუ მიკერძოებული იყო ოპოზიციური სპექტრის მიმართ. წამყვანისა და გადაცემის სტუმრების მოსაზრებები და შეხედულებები ხშირად თანხვედრაში იყო ერთმანეთთან და, შესაბამისად, გადაცემაში არ იმართებოდა დისკუსია. ამის გამო, ხშირად ტოქშოუ თანამოაზრეების საუბარს წააგავდა, ვიდრე ჟურნალისტისა და რესპონდენტის დისკუსიას.

ობიექტივი

ტელეკომპანია „ობიექტივზე“ მონიტორინგდებოდა გადაცემა „ღამის სტუდია“, რომელიც თითქმის ყოველდღე 22:30 საათზე გადიოდა ეთერში.

ღამის სტუდია

სამონიტორინგო პერიოდში გასულ გადაცემებს არ ჰქონდა კონკრეტული, თემატური ფოკუსი. ტოქშოუს წამყვანები და სტუმრები საუბრობდნენ სხვადასხვა საკითხზე, რომლებიც ერთმანეთთან კავშირში არ იყო.

გადაცემის წამყვანები არ იყვნენ დისკუსიისთვის მომზადებულნი, იშვიათად სვამდნენ კითხვებს და კიდევ უფრო იშვიათად ისმოდა კრიტიკული, დამაზუსტებელი შეკითხვები. წამყვანები უმეტესწილად მოდერატორობით შემოიფარგლებოდნენ და ხშირად საკუთარ მოსაზრებებს გამოთქვამდნენ.

წინასაარჩევნო პერიოდის მსგავსად, გადაცემის გზავნილები თანხვედრაში იყო „პატრიოტთა ალიანსის“ პოლიტიკურ შეხედულებებთან. მაგალითად, 14 მარტს გადაცემაში, რომელიც მონოლოგის რეჟიმში წაიყვანა ავტორმა, აღნიშნა, რომ ყველას დეპუტატის მანდატი აქვს „პატრიოტთა ალიანსის“ წევრის, გოჩა თევდორაძის გარდა და ისაუბრა ყველა სხვა ოპოზიციური პარტიისა და მმართველი გუნდის გარიგებაზე. მაყურებელს უთხრა, რომ „პატრიოტთა ალიანსის“ ერთ-ერთმა ლიდერმა, ირმა ინაშვილმა ოპოზიციის წევრებს შესთავაზა გამოსავალი, რომ მანდატებზე უარი ეთქვათ, თუმცა მათ არ გამოიყენეს ეს შეთავაზება (40:45), შემდეგ კი თქვა: „მაგრამ ეს ნაცებიც, მეორე ნაცებიც და ნაცების სხვა გამონაყოფებიც, ქოცებიც, ხომ ერთ თამაშს თამაშობენ“ (42:30).

ტოქშოუს ხშირი სტუმრები „პატრიოტთა ალიანსის“ წევრები ან მათთან აფილირებული ადამიანები იყვნენ. გადაცემის წამყვანები კი, ძირითადად, იზიარებდნენ რესპონდენტების შეხედულებებს და ხშირად აქებდნენ კიდეც პარტიის ლიდერებს ამა თუ იმ აქტივობისთვის.

მაგალითად, 17 თებერვალს გასულ გადაცემაში, წამყვანი ავითარებდა აზრს, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ და სხვა ოპოზიციური პარტიები („პატრიოტთა ალიანსის“ გარდა) ებრძვიან ეკლესიას. ამის პარალელურად, ირმა ინაშვილი მართლმადიდებლობის დამცველად იყო წარმოდგენილი:

„მოწოდება იყო დღეს ირმა ინაშვილისგან და მე მიმაჩნია, ძალზედ დროული. იმიტომ, რომ უკვე ძაან ცუდი ზრახვები იკვეთება, იმიტომ, რომ ეს ბრძოლა და თავდასხმა დედა ეკლესიაზე ეტყობა გარკვეულ ეტაპამდე მიდის. [...] მოწოდება იყო, რომ ჩვენ უნდა დავიცვათ ჩვენი დედა ეკლესია და პატრიარქი, იმიტომ, რომ ამით ჩვენ ვიცავთ თითოეული ჩვენგანის სულიერ მდგომარეობას და ჩვენი შვილების“, - ამბობდა გადაცემის წამყვანი (35:34).

გადაცემაში ხშირად ეხებოდნენ მართლმადიდებლობასთან დაკავშირებულ საკითხებს და ჟღერდებოდა დისკრიმინაციული განცხადებები. მაგალითად 16 თებერვლის გადაცემაში, წამყვანი საუბრობდა მართლმადიდებლობაზე, როგორც „უკანასკნელ ბასტიონზე, რომელსაც მსოფლიო ძალები ებრძვიან“ (1:29). აღნიშნულ თემას განავრცობდა გადაცემის სტუმარიც, რომელმაც აღნიშნა, რომ „ეკლესიას ორგანიზებულად ებრძვიან „გლობალისტები“ და „ულტრალიბერალური“ ძალები, ვინაიდან ეკლესია ამ ჯგუფებს ხელს უშლის ჰომოსექსუალიზმის, ფემინიზმისა და ნარკოტიკების პროპაგანდაში“ (8:20). მსგავსი შედარებები, არა მხოლოდ მოკლებულია ფაქტობრივ დასაბუთებას, არამედ ემსახურება ფემინისტებისა და LGBT თემის დისკრედიტაციას.

ტოქშოუში ხშირად ისმოდა ანტიდასავლური რიტორიკა. მაგალითად, 19 თებერვლის გადაცემაში „პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერი დავით თარხანმოურავი თითქმის 10 წუთის განმავლობაში დაუსაბუთებლად აკრიტიკებდა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტს და ადანაშაულებდა „ბოკერია-სააკაშვილის“ პარტიებს მხარდაჭერაში (22:57);

მთლიანობაში, სამონიტორინგო პერიოდში, გადაცემა დაუბალანსებელი და მიკერძოებული იყო. ახმოვანებდა „პატრიოტთა ალიანსის“ გზავნილებს და პარტიულ პლატფორმად იყო გამოყენებული. გადაცემაში ჟღერდებოდა დაუსაბუთებელი მოსაზრებები და უმცირესობათა ჯგუფების მადისკრიმინირებელი გამონათქვამები.

მაესტრო

სამონიტორინგო პერიოდში მაესტროს ეთერში არ გასულა საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემა.